

შპს „ნიკე 2009“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, გორის საგადასახადო ინსპექცია ხაშურის მუნიციპალიტეტი 13,02,2008წ ს/ნ 243916615 კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ხაშური იმერეთის ქ. #143, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ღონდაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/ნ 57001006994. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე. მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასხე ნაკლებია, მინიმალურისა იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის

დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალურფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადიწყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივიმუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებული ამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის; რომელიც გამოიყენება მიმდინარე

ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	226705.81	125318.98
ფული საბანკო ანგარიშებზე	150031.57	11358.12
სულ ჯამი	376737.38	136677.1

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ის საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 1	608509.21	559009
მოთხოვნები გინეისის მიწოდებიდან	488356.2	541845.31
სულ ჯამი	1096865.41	1100854.31

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	1882755.4	1877088.5
სულ ჯამი	1882755.4	1877088.5

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
არამატერიალური აქტივები	0	7735.32
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	0	7 672.90
სულ ჯამი	0	62.42

სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	0	-	7 672.90
სულ ჯამი	0		62.42

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2020	25000	168880.28	46362.85	42582	280036	183567	746428
დამატება		63226	833			3364	
გასვლა						1103	
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	25000	232106.28	47195.85	42582	280036	185828	812748

ცვეთა

ბალანსი 01 იანვარი 2020		143534	36262	21291	14002	180145	395234
წლის დარიცხული ცვეთა		16292	3343	6083	18669	937	45324
გასვლა							
ბალანსი 31 დეკემბერი 2020		159826	39605	27374	32671	181082	440558
ნარჩენი ღირებულება							
01.იანვარი 2020		25346.28	10100.85	21291	266034	3483	326255
31 დეკემბერი 2020წ		72280.28	7590.85	15208	247365	4745	347189

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
მოფ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	164441.14	424 439.75
არარეზიდენტი მომფ. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	2608.3	20 938.97
მიღებული ავანსები		
მშენებლობის ავანსი	133369.74	113 572.72

სულ ჯამი	295203	558951.44
----------	--------	-----------

11. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გადასახდელი ხელფასები	328 000.00	267 418.18
სულ ჯამი	328000.00	267418.18

12. სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
მოკლევადიანი სესხები	2111971.15	1935503.3
სულ ჯამი	2111971.15	1935503.3

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	200	200
სულ ჯამი	200	200

14. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

	31.12.2020	31.12.2019
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	993 174.31	703 802.92
დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
სულ ჯამი	993174.31	703802.92

15. საქონლიდან გაყიდვები

	31.12.2020	31.12.2019
--	------------	------------

საოპერაციო შემოსავლები	7468786.61	8265237.93
<i>სულ ჯამი</i>	7468787	8265238

16. სხვა შემოსავალი

	31.12.2020	31.12.2019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20315.48	5385.98
<i>სულ ჯამი</i>	20315.48	5385.98

17. დასაქმებულთა ანაზრაურობა

	31.12.2020	31.12.2019
შრომის ანაზრაურობა	262809.15	273646.59
<i>სულ ჯამი</i>	262809.15	273646.59

18. ცვეთა-ამორტიზაცია

	31.12.2020	31.12.2019
ცვეთა და ამორტიზაცია	45386.69	52379.91
<i>სულ ჯამი</i>	45386.69	52379.91

19. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
საპროცენტო ხარჯები	161549.2	217464.75
<i>სულ ჯამი</i>	161549.2	217464.75

20. იჯარის ხარჯი

	31.12.2020	31.12.2019
საიჯარო ქირა	93393.22	192000

სულ ჯამი	93393.22	192000

21. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
რეალიზ. პროდ. თვითღ. (პრ. მფ. და მომს. სფ. სან.	51252.84	18396.74
სოციალური დანარიცხები	5081.72	5272.24
საოფისო ხარჯი	1487.09	1146.13
სამეურნეო ხარჯი	1800.24	2189.76
ჯანმრთელობის დაზღვევა	3369.16	3505.23
მიწვლინების ხარჯი	25632.2	1214.41
საკონსულტაციო ხარჯები	9604.24	36876.3
სხვა საბადასახადო ხარჯი	6679.46	3955.8
ბანკის მომსახურების ხარჯი	26702.86	12193.21
სხვა საერთო ხარჯი	58923.08	276.76
სულ ჯამი	190532.89	85026.58

22. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
დადებითი საკურსო სხვაობა	10364.08	-19087.5
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-16776.3	36069.41
სულ ჯამი	-6412.22	16981.91

23. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	31.12.2020	31.12.2019
სსკ-თ გაამუშავითავე ხარჯი	50392	307685
სულ ჯამი	50392	307685

24. სანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2021 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ღონღაძე



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

ფინანსური მდგომარეობა 2020წ

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	376 737	136 677
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 096 865	1 100 854
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0		-
მარაგები	7	1 882 755	1 877 089
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	0	-	-
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	8	-	62
ძირითადი საშუალებები	9	372 190	351 194
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		3 728 548	3 465 875

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	10	295 203	558 951
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	328 000	267 418
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	2 111 971	1 935 502
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		2 735 174	2 761 872

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	200	200
საემისიო შემოსავალი			


გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14	993 174	703 803
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	0		-
სულ საკუთარი კაპიტალი		993 374	704 003
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 728 548	3 465 875

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი:

გ. ლომიძე

მთავარი ბუღალტერი

ნ. ჯაფარიძე



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2020წ

ნეტო ამონაგები		7 468 787	8 265 238
საქონლის გაყიდვიდან	15	7 468 787	8 265 238
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		6 389 167	(6 591 893)
საწყისი მარაგები			1 949 670
მარაგების შესყიდვა			(6 519 312)
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			1 877 089
საერთო მოგება		1 079 620	1 673 345

სხვა შემოსავალი	16	20 315	5 386
დასაქმებულთა ანაზღაურება	17	(262 809)	(273 647)
ცვეთა და ამორტიზაცია	18	(45 387)	(52 380)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	19	(161 549)	(217 465)
იჯარის ხარჯი	20	(93 393)	(192 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	21	(190 533)	(180 692)
სულ საოპერაციო ხარჯები		(733 356)	(910 797)

საოპერაციო მოგება		346 264	762 548
-------------------	--	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები			
--------------------	--	--	--

მარაგები			
----------	--	--	--

სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	22	(6 412)	(16 982)
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	23	(50 392)	(307 685)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		289 460	437 881
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		289 460	437 881

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		289 460	437 881

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		704 003	701 130
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			(435 009)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(288)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		993 175	704 003

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ღონღაძე

მთავარი ბუღალტერი ნ. პაჭუაშვილი

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2020წ

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	144 276	34 134
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(384 336)	(434 930)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(240 060)	(400 796)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	136 677	537 473
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	376 737	136 677

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ღონღაძე

მთავარი ბუღალტერი ნ. პაჭუაშვილი